საქართველოს საელჩო
ქ. ბერნი
EMBASSY OF GEORGIA
BERN

33015-66-3-202009231601

№ 33015-66
23/09/2020

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საკონსულო დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ გიორგი ტაბატაძეს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით შვეიცარიის მიგრაციის ფედერალური დეპარტამენტის ორ წერილს თანდართული დოკუმენტაციით, რომლებიც ეხება რეადმისიის ფარგლებში დაგეგმილ და წინასწარ დაანონსებულ ორ ჩარტერულ რეისს, კერძოდ:

1. **29 სექტემბერს შესრულდება ჩარტერული რეისი მარშრუტით: ციურიხი-ქუთაისი-ციურიხი. ჩამოფრენის დრო 16.00 სთ.** (იხ. განრიგი დანართში).

აღნიშნული რეისით ჩამოყვანილი იქნება სულ **4** საქართველოს მოქალაქე, აქედან ორი შეზღუდული შესაძლებლობების პირია (დავით აფციაური და ლორეტა გველესიანი), ორი კი -მათი ოჯახის წევრი/ თანმხლები პირი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შვეიცარიის მხარის მიერ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი სამედიცინო ხასიათის ინფორმაცია დანართის სახით, რაც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული პირების საკარანტინე სივრცეში განთავსებისას *(მაგალითისთვის, საქართველოს მოქალაქე დავით ფირცხალავას აქვს დაქვეითებული იმუნიტეტით გამოწვეული სპეციფიკური გართულებები, რის გამოც მასთან ფიზიკური კონტაქტი უნდა განხორციელდეს სპეციალური წესების დაცვით. აღნიშნული ინფორმაცია შესაბამისი სამედიცინო ტერმინოლოგიით მითითებულია სამედიცინო ფორმებში).*

2. **ასევე, 1 ოქტომბერს დაგეგმილია ე.წ. ჰუმანიტარული რეისი,** რომელიც განხორციელდება მარშრუტით: **ციურიხი-თბილისი-ციურიხი** (განრიგი უახლოეს დღეებში მოგვეწოდება).

Seftigenstrasse 7, 3007 Bern, Switzerland
ტელ./Tel: +41 31 351 58 55; ფაქსი/Fax: + 41 31 351 58 62; ელ-ფოსტა/E-mail: bern.emb@mfa.gov.ge

ამ რეისით ჩამოყვანილი იქნება 31 საქართველოს მოქალაქე, რომლებმაც გამოხატეს სურვილი ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ და ითხოვეს დახმარება სამშობლოში დაბრუნების მიზნით. მათი სამგზავრო დოკუმენტები და სამედიცინო ფორმები იგზავნება ელექტრონული ფოსტით მათი დიდი მოცულობის გამო.

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოთ შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს!

დანართი: 29 სექტემბრის რეისის მგზავრების დოკუმენტაცია;
1 ოქტომბრის ჰუმანიტარული რეისის მონაცემების ამსახველი წერილი;

პატივისცემით,
ქეთევან ესიაშვილი

საკონსულო ფუნქციების შემსრულებელი